ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ ივნისის _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით),
იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის ------ ივნისის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონებების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. ერთი თვის საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ-ზე შეადგენს 50.0 (ორმოცდაათი) ლარს.

მუხლი 3. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონებები გამოყენებული იქნას სანაყინე მაცივრების, მაგიდებისა და სკამების განთავსებისათვის, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს განკარგულების გამოცემის შემდგომ, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 7. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის --- ივნისის
№ ------ განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში
არსებული ქონების ჩამონათვალი

N	მოიჯარე	პირადი / საიდენტიფიკაციო ნომერი №	მისამართი	ქონების დასახელება	ფართობი	საკადასტრო კოდი	საიჯარო ქირა (ლარი)	ვადა	შენიშვნა
1.	მოქალაქე გელა კოსტავა	60001102660	ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №67-ის ჩრდილოეთით	ტროტუარი	1.5 კვ.მ.	03.04.26.346	225	3 (სამი) თვით	სანაყინე მაცივრების განთავსების მიზნით
2.	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ბალახვანი 2022“	412765627	ქალაქ ქუთაისი, წერეთლის ქუჩა №101-ის მიმდებარედ	ტროტუარი	2.0 კვ.მ.		400	4 (ოთხი) თვით	სანაყინე მაცივრების განთავსების მიზნით
3.	მოქალაქე რომანი ჯავახაძე	60001001064	ქალაქი ქუთაისი, წმ. ნინოს ქუჩა N7-ის აღმოსავლეთით	ტროტუარი	10.2 კვ.მ.	03.03.21.469	30 600	5 (ხუთი) წლით	მაგიდების და სკამების განთავსების მიზნით
4.	მოქალაქე აკაკი ცაგარეიშვილი	60001008917	ქალაქი ქუთაისი, წმ. ნინოს ქუჩა N7-ის აღმოსავლეთით	ტროტუარი	9.0 კვ.მ.	03.03.21.469	1 800	4 (ოთხი) თვით	მაგიდების და სკამების განთავსების მიზნით
5.	მოქალაქე თებროლე ნიშნიანიძე	60001145183	ქალაქი ქუთაისი, წმ. ნინოს ქუჩა N13-ის მიმდებარედ	ტროტუარი	26.0 კვ.მ.	03.03.21.308	15 600	1 (ერთი) წლით	მაგიდების და სკამების განთავსების მიზნით

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე,
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შესახებ“

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე გელა კოსტავას (29.04.2022 წ. №19/44221199 44) განცხადება, რომელიც შეეხება ქალაქი ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №67-ის ჩრდილოეთით სეზონურად 20 წლის 1 ივნისიდან 2022 წლის 1 სექტემბრამდე სანაყინე მაცივრების განთავსებას (ფართობით 1.5 კვ.მ.).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შპს ,,ბალახვანი 2022“-ის მომართვა (19.04.2022 №10/442210956-44), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, წერეთლის ქუჩა №101-ის მიმდებარედ სანაყინე მაცივრებ განთავსებას (ფართობით 2.0 კვ.მ.). დაზუსტებული იქნა სარგებლობაში გადაცემის ვადა. რომელიც მოიცავს 2022 წლის ივნისიდან 2022 წლის 15 ნოემბრამდე პერიოდს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე რომანი ჯავხაძის (23.05.2022 წ. N19/44221439 44) განცხადება რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, წმ. ნინოს ქუჩა N9-ის წინ მდებარე ტროტუარის (ფართობით 10.2 კვ.მ ნაწილის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადმაცემას, მაგიდებისა და სკამების განთავსების მიზნით, 5 (ხუთი) წლ ვადით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა მოქალაქე აკაკი ცაგარეიშვილის (19.05.2022 N19/442213915-44) განცხადება რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისში, წმ. ნინოს ქუჩა N1-ის წინ მდებარე ტროტუარ (ფართობით 9.0 კვ.მ.) ნაწილის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადმაცემას, მაგიდებისა და სკამების განთავსების მიზნით, (ოთხი) თვის ვადით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში განხილული იქნა მოქ. თებროლე ნიშნიანიძის განცხადება (20.05.20 წ. N19/4422140108-44), რომლითაც ითხოვს ქალაქ ქუთაისში, წმ. ნინოს ქუჩა N13-ის (ლუკა პოლარეს) წინ ღია სივრც მოწყობის (მაგიდების და სკამების განთავსების) მიზნით, 26კვ.მ ფართის იჯარით გადაცემას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილა მიაჩნია განხორციელდეს, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განკარგულების დანართში ჩამოთვლილი ქონებების სარგებლობაში გადაცემ წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობ საზოგადოება ,,აუდიტორული კომპანია ალსოს“ შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვებ შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,აუდიტორული კომპან ალსოს“ მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წლის №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ-ზე შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს. სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონებები გამოყენებული იქნას სანაყინე მაცივრების, მაგიდებ და სკამების განთავსების მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტ „დ.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირ განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლი პირობებით), იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვ თანხმობის მიცემის შესახებ“.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტ მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი